№ 61

კვირა, 20 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 61

კვირა, 20 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.



## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**ДИДУБИС ЛВТИС-МШОБЛИС ЭКК-**

**დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში.** ამ ჟამად იატაკსა სცვლიან და ეკკლესიაში დასაფლავებულთა საფლავების ქვები აყრილ იქმნება. მიცვალებულთა პატრონთ შეუძლიანთ წარმოადგინონ მარმარილოს ქვები ზედ-წარწერით.

(2—2)

მეორედ დანიშნული ცამეტს ამა მარტისასა კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებით თავად-აზნაურობა არ მოვიდა.

ამის გამო, **ბორჩალოს მაზრის კეთილ-შობილთ** წინამძღოლი დანიშნავს მაზრის **კრებას ოც-და-შვიდს ამა მარტისასა** და სთხოვს იმ თავად-აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაზედ, მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულ დღეს, თორმეტს საათზედ, დილით, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკჯუანოვის სახლში, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას, წინამძღოლს, დეპუტატთა საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთ უფლებისა, რომელიც თუ არ წარმოადგინეს, არ იქნებიან ჩაწერილნი სიაში.

(3—2)

## მოამბის

რედაქციისაგან

რადგან ჟურნალი «მოამბის» I ნომერი სულ დაურიგდა ხელის მომწერლებს, რედაქცია ხელ მეორედ ჰბეჭდავს ამ ნომერს და ახალ ხელის მომწერთ პირველი წიგნი აპრილის შუა რიცხვებში გაეგზავნებათ.

(6—4)


## ტფილისი, 20 მარტს

ამ გაზაფხულს თითქოს განგებ ყოველგან ერთს დროს უნდა მოხდეს კენჭის ყრა. არჩევანები იქნება: ბანკების მოხელეებისა, მარშლებისა და ქალაქის მოურავებისა.

მოსალოდნელია, რომ ამდენის საყურადღებო თანამდებობის კაცების არჩევანი დიდსა და ცხოველს მოძრაობას გამოიწვევს საზოგადოებაში. ზოგან საარჩევანო აგიტაცია დიდი ხანია დაწყებულა და რაც დრო მიდის, თანდათან უფრო მძაფრის ხასიათისა ხდება ლაპარაკი ამ საგნების გამო.

ჩვენ ბევრჯელ გვქონია საუბარი ქართლ-იმერეთის საზოგადოების მონაწილეობის შესახებ თავის დანდობილ კაცების ამოსარჩევად და ამ ჟამად ამ საგანს აღარ შევეხებით.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც 20 მარტს დანიშნული ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის არჩევანი გადადებულ იქნა, როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდგან,—არათგრად ეჭამნიკა თურმე თავადი კირილე ლორთქიფანიძის მოწინააღმდეგე დასს.

მომზადებული შუშხუნა მთლად ერთიანად დაუწვავს, როგორც გვწერს იგივე კორესპონდენტი ბატონს ჩიკვაიძეს და ეშვობენ, რომ ხელ-მეორედ შესაძლებელი იქნას საომარის მასალის დამზადება და, კიდეც რომ მოხერხდეს, არც იმას არიან დარწმუნებულნი, რომ დეპუტატებზედ გასჭრას ჩვეულებრივმა საარჩევანო ხერხმა. მაგრამ დავიცადოთ და ვნახოთ, რამდენად ნამდვილი გამოდგება ასეთი მოლოდინი.

ჩვენ უფრო გვსურს ამ ჟამად მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ბათუმის ქალაქის მოურავის არჩევანს. თუმცა კენჭის ყრა ზაფხულში უნდა მოხდეს, მაგრამ ახლავე დიდად მეცადინეობენ, თურმე, იქ სხვა-და-სხვა დასნი, რომ თავისის კანდიდატის ამორჩევა შესაძლებელი გაჰხადონ.

თითონ ბათუმი დასახლებულია ბევრის სხვა-და-სხვა ენით მოლაპარაკე ხალხით, მაგრამ უმთავრესნი მონაწილენი ქალაქის ყოფა-ცხოვრებისა არიან: ქართველნი, რუსნი, ბერძენნი და სომეხნი. სასურველია, რომ ამათ საერთოდ იმოქმედონ ამ შემთხვევაში და, მაინცა და მაინც თავის ტომის კანდიდატის გაყვანას არ ეცადოს, თუკი უფრო ღირსეული და გაგებული კანდიდატი მეორე გუნდის წარმომადგენელთა შორის აღმოჩნდება.

რა ზომამდე სასარგებლო და სანატრელია ცალ-კერძოდ მოქმედება ქალაქის საქმეში, ამისი მაგალითი დაგვანახვა ტფილისის მარშანდელმა კენჭის ყრამ ხმოსანთა ასარჩევად.

არა გვგონია, რომ ქალაქის ინტერესებისათვის დიდად სასარგებლო ხმოსანთა განდევნა ტფილისის საბჭოდან კეთილად დასტყობოდეს ქალაქის საქმეებს.

შორს გამჭვრეტნი კაცნი, რომელნიც გამარჯვებულთა ბანაკში ითვლებიან, კარგად ჰგრძნობენ, რომ ამ გვარი გამარჯვება ყოველ დამარცხებაზედ უფრო საწუხარო და მავნებელია. მაგრამ აქ ქალაქში რაც მოხდა, მოხდა და სინანული გვიან-ღა არის.

გამარჯვებულნი თითონ ეცადნენ, რომ ჩვენს საზოგადოებას თვალი გაეხილებინა, ნამდვილის მდგომარეობისათვის ფხიზლად შეეხედნა და მიელო საშუალება თავისის თავის გონიერად მოვლისა. საბედნიეროდ, ნიშნებიც ამ გამოფხიზლებისა იმ თავითვე დაეტყო ჩვენს ერს და რაც დღე მიდის, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით ერთის ქართულის ანდაზის ჭეშმარიტებას: რომ „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

კიდევ განვიმეორებთ: სასურველია, რომ ბათუმელები განიმსჭვალნენ მხოლოდ იმ გრძნობით, რომ ქალაქს გონიერი და პატიოსანი ჭირისუფალი მოუნახონ, და რომელს ენას იხმარებს ბათუმის მოურავი თავისს ოჯახში, ეს მაგდენად საყურადღებო სულ არ არის.

უდიდესი ჯილდო სამართლიანის კაცისათვის ის გრძნობაა, რომ სამართლიანად მოვიქეციო და ეს არ უნდა იქნას დავიწყებული.

მეველე

### რა დროს არის შემოღებული

„მრავალ-ჟამიერ“-ი?

დიდ-მარხვაში „მრავალ-ჟამიერ“-ზე ლაპარაკს „წარმართეზე“ ლაპარაკი სჯობიან, მაგრამ რადგანაც ყველიერში ასტყდა ამ სიმღერა-გალობის შესახებ ბაასი, ნაადგომევამდის გადადება, მივიწყება იქნებოდა კითხვისა, და ამის გამო ნებას ვითხოვ ჩქვა მოვახსენო „ივერიის“ მკითხველებს ერთს ქუთაისის სადილზედ გამოთქმული სურვილი,—ვკითხოთ გაზეთის საშუალებით მცოდნე კაცთ შემდეგი: რა დროს არის შემოღებული ჩვენს ღხინში „მრავალ-ჟამიერ“? ეს სიმღერა ჩვენში არის დაბადებული, თუ გადმოღებულია რუსულიდამ ან ბერძნულიდამ? რომელს ძველს ქართულს წიგნში იხსენება პირველად ეს რუსთველისგან უცნობი „მრავალ-ჟამიერ“?

„მრავალ-ჟამიერ“. ერთობ გავრცელებულია ჩვენში და ცოტად ჩვენს გარედაც და ღირსია, რომ ამის თავ-გადასავალს მოცლილი დრო ათხოვონ ჩვენმა სწავლულებმა.

მეწვრილმანე

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებელს უკვე ნება დაურთავს თავის სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი გაჰმართოს და საზოგადოება უკვე შესდგომია კიდეც ამისს სამზადისს.

*** ამ დღეებში ერთ ალაგას აღმოჩნდა ძველი ქართული ხელთ ნაწერი წიგნები და მათ შორის არის ერთი ვრცელი ტომი „საპოლიტიკო თიატრი» უცნობისაგან დაწერილი და მეორე «ოქროს წყარო“ იოანე ოქროპირისა, თარგმანი X საუკ. გიორგი სალთისელის მიერ.

## ფელეტონი

### გ. წერეთელი და მისი ვექილი მაზაკვალი

(კვალიგრაფია ანუ მეცნიეროგრაფია)

ჩვენს „თეატრის მატიანეს“, „ხაფანგის“ შესახებ დაწერილს, რომელშიაც ბ-ნ გ. წერეთელს რამდენიმე შეცდომა და ღუხჭირი, შეუსაბამო აზრი დავანახვეთ, პასუხი აღირსეს*). ბ-ნ გ. წერეთლის საშველად და დასახმარებლად ჩვენ წინააღმდეგ „კვალის“ ფურცლებზედ გამოილაშქრა მისმა ვექილმა მაზაკვალმა, რომელიც ზრდილობითა და თავაზიანობით, ყოველისავე ცოდნით არის აღჭურვილი და ისეთს დღესაც მაყენებს, რომ მდღვირს იდენს.. ბევრის მეცადინეობისა გამო, გავათეთრო როგორმე გ. წერეთელი და ქვეყანა დავარწმუნო, რომ ორჯელ ორი, ოთხი-კი არა, ქონის სანთელია.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ნიმუშებს ბ-ნ მაზაკვალის ზრდილობა-თავაზიანობისას, „«მეცნიერულ» ცოდნისას და იმისასაც, თუ რა უცნაური ვექილობა და დახმარება აღმოუჩინა ბ-ნს გ. წერეთელს.

მაზაკვალს აოცებს ჩვენის «გონების სიმტკნარის საცოდაობა»; იგი ამბობს, რომ თვალთა ხედვის ისარი „თვალებში გცემიათ და დაუბრმავებიხართო“; ჩვენი აზრი „მეტაფიზიკების ცრუპენტელაობის ნაყოფია“ თურმე; ჩვენს წერილში „მტკნარი უცოდინარობა პირ-ჩამოხსნილი ჰლაღობს“... როგორ მოგწონთ ეს ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტები ბ-ნ გ. წერეთლის ვექილის მაზაკვალის ზრდილობა-თავაზიანობისა! ასე სწერს მეცნიერი ვექილი გ. წერეთლისა, ასეთს სიტყვა-პასუხს ჰხარჯავს; დაგვილოცნია მისთვის უკუნითი უკუნისამდე ამ გვარი ლიტერატურული წესი ამინ და კირილეისონ!

მერე, იკითხავთ: მაზაკვალს თქვენის „გონების სიმტკნარისა“, „დაბრმავებისა“, „ცრუპენტელაობისა“ და „უცოდინარობის“ საბუთებიც მოჰყავსო? ოღონდაც, ჰაი-ჰაი, რომ მოჰყავს. თქვენ მაზაკვალი უბრალო კაცი-კი არ გეგონოთ. ჯერ მარტო ის წარმოიდგინეთ, რომ გ. წერეთელი იმის კალთისა ქვეშე ამოჰფარებია, და ესეც კმარა იმის დასარწმუნებლად, რომ მაზაკვალი დიდი, ძლიან დიდი ვინმე ბრძანდება. კარგად უწყის „კოშანსკის რეტორიკიდან დაზმორებული განმარტებანი“ და „ბუალოს მეტაფიზიკური აჰია-ბაჰია“, როგორც თითონვე ამბობს. ერთის სიტყვით, მაზაკვალი დიდი მეცნიერია, მტკნარი მეცნიერი. მართალია, ამ ხელად მეცნიერებაში მაზაკვალს ცოტა გზა-კვალი დაჰბნევია, თუმცა „კვალში“-კი სწერს, მაგრამ რა ვუყოთ, ეს დიდის ცოდნითა და მცირე გაგებით მოსდის.

ბ-ნს მაზაკვალს არ მოსწონს ჩვენი დანაწილება პიესისა, რომ არისო „დრამა ვნებათა ღელვისა, დრამა ხასიათისა, დრამა ინტრიგისა და სხ.“ კითხულობს:

„აბა, მიჩვენეთ ისეთი დრამა, სადა მხოლოდ დახასიათება იყოს ტიპისა და არა გრძნობათა ღელვა, სადა ინტრიგა იყოს და იმავ დროს არ ჩნდეს „ვნებათა ღელვა“, სადა მხოლოდ ვნებათა ღელვა იყოს და ტიპების ხასიათი-კი არა? მაშ რა საჭირო იყო ასეთი ნომენკლატურა დრამისა, რომელიც უკვე ორი საუკუნეა უარ-ყოფილია. ვინ არის ახლანდელ დროში, რომ ეს არ ესმოდეს და არ იცოდეს გარდა „ივერიის“ კრიტიკოსისა?“

როგორია, დაგვიჭირა თუ არა? იცის-და ბიჭმა! განა შევცდით, როცა ვთქვით, რომ მაზაკვალი მტკნარი მეცნიერიაო?! მეცნიერი-კია მაზაკვალი, მაგრამ ვეჭვ, რომ ამისთანა ვექილობისათვის მან ბ-ნ გ. წერეთლისაგან სავექილო სასყიდელი მიიღოს. საბრალოს ისე ჰგონებია, დრამის დანაწილებით იმისი თქმა „გვინდოდეს, რომ რა-კი დრამა ხასიათისაა, შიგ ხასიათის მეტი აღარა უნდა იყოსრა, არც შინაარსი, არც ინტრიგა და არც ვნებათა ღელვა! ამ სისულელეს პირზედ გვაკერებს და მერე თითონვე გვებრძვის, რად გაკერიათ ეგ სისულელეო. გაგონილა! აქამდე ვერ გაუგია მაზაკვალს, „რომ რომელი ამ თვისებათაგანიცა ჰმეტობს, ის თვისება იქმნება დამახასიათებელი დრამისა. თუ ინტრიგის დრამაში, მაგალითებრ, ინტრიგა იმდენად ჰმეტობს, რომ სჩრდილავს დანარჩენს მის ნაწილებსა და თვისებათ, მაშინ იგი იქმნება დრამა ინტრიგისა და არა ხასიათისა, ანუ ვნებათა ღელვისა. ეს ისე ცხადია, როგორც მეცნიერება „კვალის“ თანამშრომელისა, რაიცა უკვე კიდით-კიდემდე ქვეყ-

*) „კვალი“, 1894. წ., № 11.

*** ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას ძლიერ ბევრი ქართული წიგნი და გაზეთი ჰკლებია, მაგალითად, „ცისკარიც-კი“ არ მოიპოვება ყველა წლებისა. ბევრი ძველი გამოცემა, რომლებიც 1810—1863 წ. დაიბეჭდა პეტერბურგსა, მოსკოვსა, ტფილისსა და ვენეციაში, სულ არ მოიძებნება.

*** ჩვენ მოგვივიდა შარაძისა და ამხ. სტამბაში გამოცემული პაწია წიგნაკი: „ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა“. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს სულ 24 გვერდს, კარგის ქართულით არის ნაწერი და ჰღირს სულ ერთი შაური.

*** ბათუმი. ქ. ბათუმის მთავრობამ ნება დართო ქალაქის სასარგებლოდ ხარჯი შეაწეროს იმათ, ვისაც ბათუმის ზღვის ყურეზედ გადაჰყავს ხალხი და გადააქვს საქონელი. წლიური ხარჯი ფილიუკისა, ბარკასისა და იმ პატარა ხომალდისა, რომლებსაც შეუძლიანთ 500 ფუთამდის ტვირთი წაიღონ, ადის შვიდ მანეთამდე, თითოეულისა; 35 მანეთამდის იმ ხომალდებს, რომლებიც ჰზიდავენ 500-დამ 2,000 ფუთს საქონელს; მხოლოდ იმ ხომალდებზე, რომლებიც ჰზიდავენ 2,000 ფუთზედ მეტს საქონელს, დადებულია 100 მანეთი ხარჯი. ხარჯი არ გამოერთმევათ: ა) სახელმწიფო ხომალდებს, სახელმწიფო საჭიროებისთვის მომუშავეთ; ბ) ქალაქის საქონლით დატვირთულ ხომალდებს, მოსულთ სხვა მხრიდან, დაცლის შემდეგ უსაქონლოდ დაბრუნებულთ და გ) იმ ნავებს, რომლებსაც ჰხმარობენ საკომერციო გემებთან, ან ბათუმელებივე ხმარობენ თავისის საჭიროებისათვის და არავითარი შემოსავალი არ მოაქვს პატრონებისათვის. შემდეგი წესია დადგენილი ხარჯის გამოსართმევად: 1) ხარჯი ეძლევა ქალაქს ნახევარ წლობით; დრო ხარჯის შეტანისა ადგილობრივ პირობების მიხედვით უნდა გადასწყვიტოს ქალაქის გამგეობამ და საყოველთაოდ გამოაცხადოს ერთის თვით ადრე ხარჯის შეტანის ვადამდის. 2) ქალაქის გამგეობას ნება ეძლევა დაანაწილოს მომუშავე ხომალდები სხ. და სხ. რიგად და თითოეულს მათგანს ისე შეაწეროს წლიური ხარჯი, მხოლოდ ისე-კი, რომ ხარჯი არ აღემატებოდეს ზემოდ აღნიშნულს რაოდენობას. 3) იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯი არ იქმნება დროზედ შეტანილი, ქალაქის გამგეობას შეუძლიან მიუსაჯოს ჯარიმა, რომელიც შეუტანელად დარჩენილის ფულის 50% არ უნდა აღემატებოდეს.

*** სომხურ გაზეთ „არძაგანქს“ საჩხერიდგან სწერენ, რომ აქ მკვიდრ მცხოვრებთა შორის 60 კომლი სომეხი ცხოვრობს, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენო. ახლა აქ ამათ სამრევლო სკოლა დაარსეს და სწავლა დააწყებინეს თავიანთ ბავშვებს. სკოლის მასწავლებელი „არძაგანქის“ საშუალებით სომეხთა სთხოვს და ავალებს, რომ, ეგებ მეგაზეთეებმა და წიგნის გამომცემლებმა თითო გაზეთი და წიგნი გამოგვიგზავნონ, რადგანაც სასწავლებლის გვერდზედ სომხურ წიგნების სამკითხველოც გვინდა დავაარსოთ, რომ იმის საშუალებით ქართულად მოლაპარაკე სომხებმა სომხური ისწავლონო.

*** როგორც გვაუწყებს „Новоросс. Телегр.“ ამ დღეებში ჩამოვა პეტერბურგიდგან ოდესაში მისი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ნადირობის გამგე, ბ-ნი იუნტერი, რომელსაც მოჰყავს 33 ცოცხალი ფურ-ირემი. ეს პირუტყვები გაიგზავნებიან ბათუმს და იქიდგან მისის უმაღლესობის მამულს—ბორჯომში მოსაშენებლად. („Кавк.“).

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ს სიტყვით, ქალაქის საბჭოში 4 აპრილს იქნება არჩევანი ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარისა.

*** 19 მარტს სვიმონოვის ქუჩაზედ მირზოევის სახლთან იპოვნეს ოთხის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დამაკვირდი

სულელს არასოდეს არ შესწევს ძალა, რომ კეთილი იყოს.

ლაროშფუკო

**

საგანი-კი არ იცვლება, არამედ ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ.

**

ძედაკაცი უფრო სხვის ბედნიერებასა ჰფიქრობს, ვიდრე თავისას.

**

თუ ადამიანის სიყვარული გინდა, ბევრს ნურას მოსთხოვ.

კოცებუ

## უნგრეთის მამულიშვილი

(† 9 (21) მარტს)

ეს რა ხმა ისმის გლოვის ზარისა,
რამ ააღელვა ასე მთლად ბერი,
რამ მოაყენა კაცკაცს თვალს ცრემლი,
რამ აატირა ბავშვი და ერი?

ვისთვის იწევს თმას მშვენიერსა,
თმას ჭაღარასა ამდენი ქალი,
რა რისხვა ღვთისა ეწია ერსა,
რამ დაბრუნა ეს ცოდვა-ბრალი?

რას გაუშლია შავნი დროშანი,
ცრემლსა ზღვასავებრ რად უდენია,
რას მოუწამლავს ერის ღიმილი
და მარტო გლოვა დაუშთენია?

ვისი კუბოა, რომ ეს ზღვა ხალხი
უკან მისტირის ამ მადლიანსა;
წუხილსა ერის გული ვერ იტევს,
სათვლავს-კი სთხრიან სამს ადლიანსა?!.

კოშუტი არის!.. ბერი, მოხუცი,
სამშობლოსათვის ძმა-მოსილი,
ის არის, რომლის სახელს და საქმეს
ვერა დაჰფარავს ბნელი სიკვდილი.

ის არის, ვინც რომ თავ-განწირულად
ტვირთა სამშობლოს უჭირისუფლა,
ის არის, ვინც რომ მონობა სთრგუნა
და თვის მომმეზედ სხვა არ აუფლა;

ის არის, ვინც რომ ასწავლა ერსა
მისგან სამშობლო რას ელოდება
და ვითარ უნდა მისთვის სიცოცხლე,
მისთვის სიკვდილი და თავ-დადება!

ის არის, ვინც რომ ორმოც-და-შვიდს წელს
განშორდა თავისს საყვარელს მამულს,
მაგრამ მაინც-კი უნგრეთს აღევდა
სულსა განწირულს და გულს დაჩაგრულს.

ის არის, ვინც თვის მშობელს ქვეყანას
ოთხმოც-და-თორმეტს წელს ეტრფოდა;
სიცოცხლე თვისი მას ანაცვალა,
მისთვის სვა ტანჯვით სავსე ფიალა.

კოშუტი არის, ლუდვიგ კოშუტი,
უნგრეთი იმის ნაშთს მოასვენებს,
ერი მის სახელს გულს ჩაიმარხავს,
დედა აკვანში შვილს გაახსენებს!..

კენტი

## ნაკვესი

ერთი ჭკრცოგი და კარდინალი, რომელიც დაბალის წოდების კაცის შვილი იყო და ამ ხარისხამდე თავისის ჭკუით და სიკეთით აღმატებულიყო, ერთს საზოგადოებაში ერთად ისხდნენ.

კარდინალი სინჯავდა თვალით ჭკრცოგსა და ამ სინჯვამ ისე გულზე მოიყვანა ჭკრცოგი, რომ ამაყად უთხრა კარდინალს:

— ისა სჯობია გაიხსენოთ როგორ დასდევდით ღორებს?

— მე გ მაღიან კარგად მახსოვს, უპასუხა მშვიდობიანად კარდინალმა: და შემიძლიან შეუცდომელად ვთქვა, რომ თუ თქვენ მამის ჩემის შვილად ჭყოფილიყავით, დღესაც მეღორედვე იქნებოდით.

## მისაბაძი მაგალითი პედაგოგთათვის.

მთაწმიდაში არის ერთი მეტად ვიწრო და ბინძური ქუჩა, სახელდობრ მთის მეორე ქუჩა, რომელზედაც ტალახი არა შრება თვით ივლისის პაპანაქებაშიაც და რომელიც ეტლებისათვის უვალია. წარსულს ოთხშაბათს, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ, ამ ქუჩის დასაწყისში გაჩერდა ორი ეტლი, საიდამაც გადმოვიდნენ სამნი: მაღალის ტანისა და მშვენიერის შეხედულობის გვამი, ახლად შესული მოხუცებაში, რომელსაც ზედ აჯდა ბეჭედი მაღალის განათლებისა და აღზრდისა, შუატანის გვამი, აგრეთვე მეტად სასიამოვნო სახისა, და ძლიერ მორცხვი სტუდენტი უნივერსიტეტისა. სწრაფად გაემგზავრნენ ამ ბინძურს ქუჩაზედ ზევით, სადაც ღრმა ტალახში კალოშები ეფლობოდათ, ავიდნენ მთაზედ, შევიდნენ რამდენსამე ქოხში, გასინჯეს კარგად და ფიცხლავ დაბრუნდნენ უკანვე.

ბევრნი ქუჩის მცხოვრებნი გამოვიდნენ გარედ და გაოცებით დაუწყეს მზერა ამ აქ უნახველს სურათს. ვინ იყვნენ ესენი და რამ მოიყვანა აქა?

ესენი ბრძანდებოდნენ: სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ტაინი სოვეტნიკი საბლერი, ობერ-სეკრეტარი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გავრიილოვი და ვაჟიშვილი პირველისა. რა უნდოდათ მინისტრსა და პეტერბურგელ გენერალს იმისთანა ადგილას, სადაც კოლეჟსკი რეგისტრატორიც-კი იშვიათად გაივლის ხოლმე და რისათვის სინჯავდნენ ქოხებსა?

წინა დღით ბ-ნის საბლერის ვაჟს გაესინჯა სადგურები სემინარიელებისა და მამისათვის მოეხსენებინა იმათი საშინელი უმზგავსობა. მამას მოენდომებინა თავისის თვალით ნახვა ამ ქოხებისა და თან წამოეყვანა თავისი ობერ-სეკრეტარიც. თუმცა ადგილი თითქმის მიუვალი დაუხვდათ, მაგრამ ესენი არ შეუშინდნენ არც ტალახს, არც ციცაბოს, არც ლიპს ბილიკებს და საკუთარის თვალით ჰნახეს ის, რაც უნდა ენახათ სემინარიის მოსწავლეების მდგომარეობის ზედ-მიწევნით შესატყობლად.

რა კარგი იქმნება, რომ ტფილელმა პედაგოგებმაც მიჰბაძონ ამ მშვენიერს მაგალითსა, მოსწავლეთა მდგომარეობას არ გასცქეროდნენ მდიდრად მორთულის კაბინეთებიდგან და საკუთარის თვალით გასინჯონ ხოლმე, თუ სად და ვისთან სდგანან, ვინა ჰყავთ მეზობლად და რა საზოგადოება არტყიათ გარს.

დამსწრე

## შენიშვნა

თუმცა დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ ჩვენს გაზეთში გამოაცხადა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა და საზოგადოების წევრებს სთხოვდა დახმარებას შარშანდელისა და წლევანდელის წლის საწევრო ფულის გადახდით, მაგრამ, როგორც გავიგეთ, იმისის კანონიერ თხოვნისათვის ჯერ ერთსაც არ გაუცია პასუხი.

ასეთი გულგრილობა საერო საქმის მიმართ საზოგადოდ სამწუხაროა, და იმათ მხრივ-კი, ვისაც თავის ნებითა და სურვილით კისრად უდვია ქართულის თეატრის საქმის წარმართვა დრო-გამოშვებითის წვლილის გადახდით,—იმათ მხრივ ასეთი გულგრილობა, საქმის მავნებელი რომ არ იყოს, უსამართლობა მაინც არის.

რადგან მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ ვისაც დრამატიულის საზოგადოების წევრობა უკისრნია, იმას მარტო არჩევანებზედ დასწრების სურვილი არა ჰქონია, არამედ იმ რწმენით მიუღია ეს სახელი, რომ ამით

---

ნისა აღიარებულია და მიჩნეული. ბ-ნს მაზაკვალს, კოშანსკის რეტორიკასა და ბუალოს მეტაფიზიკაში ფათურის ნაცვლად, თუნდა საენციკლოპედიო ლექსიკონი რომ აეღო, ეს თვისი სამეცნიერო სახელმძღვანელო, და გაესინჯა სიტყვა „დრამა“, იქიდგანაც-კი დარწმუნდებოდა, რომ სწორედ ასეა და რომ თვით მას, მტკნარს მეცნიერს, მტკნარი სიცრუე აუფარებია ფარად, რომელსაც მეცნიერული მხოლოდ სახელი აქვს ზემოდგან წარწერილი.

მაგრამ ეს არაფერი. შევუნდოთ ეს არა-მეცნიერული კუნტრუში „კვალის“ მეცნიერს წარმომადგენელს და ბოლომდე ჩავყვეთ იმის მეცნიერებას. შემდეგი იგი ჰბრძანებს:

„შესანიშნავი დრამატურლი ლესსინგი ამბობსო“—რიხით წარმოსთქვამს „ივერიის“ ესტეტიკოსი, რომ „შინაარსი დრამისა შესაძლებლობის საზღვარს არ უნდა გადადიოდესო“. კიდეც ეგ გახლავთ თქვენი უვიცობა, ბ-ნო მანოელიძე, რომ ლესსინგის აზრი არ გაგიგიათ, ვერ შეგითვისებიათ; მაგრამ ან-კი რა გასაკვირია, რომ ბუალოს მცნების მიმდევარმა ლესსინგის მიერ წარმოთქმული ესტეტური კანონი ვერ გაიგოს. შესაძლებელი დიაღ ბევრია ქვეყანაზე, მაგრამ ყველა ხომ დრამის საგნათ არ აიღება? მაგალითად ბუნებაში სიამის ტყუპებიც ხომ შესაძლებელი იყო, მაგრამ ნუ თუ ისინი დრამის საგნად ივარგებდენ. 1875 წელს ჟენევაში სამეურნეო გამოფენაზე მე ვნახე ექვს-ფეხიანი ხარი, რომელსაც ოთხ-ფეხს გარდა კიდევ ორი სხვა ფეხიც ჩლიქებიანი ზურგზე ჰქონდა ამოსული და იქით-აქეთ ეკიდა; მაგრამ ნუ თუ აქედან ის უნდა გამომეყვანა, რომ ჟენევაში ყველა ხარები ექვს-ფეხიანებია?“

ხომ გაიგონეთ! იცოდეთ, რომ ყოველივე, რასაც მაზაკვალი ჰლალადებს, მტკნარი მეცნიერებაა, ისეთი დაურღვეველი, როგორც ათი მცნება. „ჟენევაში ექვს-ფეხიანი ხარი ვნახე... ნუ თუ აქედან ის უნდა გამომეყვანა, რომ ჟენევაში ყველა ხარები ექვს-ფეხებიანებიაო?“ კითხულობს მაზაკვალი. ოღონდაც, რომ ექვს-ფეხიანს ხარებს ვერ გამოიყვანდით, ბ-ნო მაზაკვალო, მაგრამ მაგ სიტყვებით ექვს-ფეხიანი მეცნიერული მტკნარი სიცრუე-კი გამოგყავთ „კვალის“ ფურცლებზედ. აქედგან ის გამოგყავთ, რომ დრამაში ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს აწერილიო და არა-ჩვეულებრივს, არა-ყოველ-დღიურს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. კარგი და პატიოსანი. ავიღოთ, რომელი დრამაც გნებავთ შილლერისა, ან შექსპირისა. განა ფრანც მოორს ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით? განა, რაკი ფრანც მოორი მშობელს მამას არჩობს და ძმას სამარეს უთხრის, საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ გერმანიაში ყველა შვილი თავისს მამას არჩობს და ძმას სამარეს უთხრისო? რომეო რომ სიყვარულს ამსხვერპლებს თავის თავს, უნდა მოვითხოვოთ, რომ ყველანი სიყვარულს გადაჰყვნენ, ისევე გაგიჟებით, ისევე გატაცებით? განა ორლეანელი ქალწული, მარტო იმიტომ, რომ ერთად-ერთი იყო და მგზავსი, ბადალი არა ჰყავდა, დრამის მასალად არ გამოდგება?!.

რომელი ერთი ვსთქვათ მტკნარ მეცნიერის მტკნარის უვიცობის დასამტკიცებლად! განა ეჭვია, რომ მართლაც „შინაარსი დრამისა შესაძლებელობის საზღვარს არ უნდა გადადიოდეს?“ განა ეჭვი აქვს იმას, რაც არისტოტელიდგანვე ცნობილია და დრამატიულს ხელოვნებაში ჭეშმარიტებად არის აღიარებული? განა არისტოტელს, იმ არისტოტელს, რომლის ყოველს აზრს ლესსინგი მოწიწებით იმეორებს,—არ ეკუთვნის ეს სიტყვები: „პოეტი ვალდებულია აღნიშნოს იმდენად არა ის, რაც მოხდება ხოლმე, არამედ ის, რაც შეიძლება მოხდეს, ესე იგი შესაძლებელი“? ჩვენ აქ არ ვუჩვენებთ იმ ადგილს ლესსინგის თხზულებისას, სადაც ეს შესანიშნავი და, ასე წარმოიდგინეთ, კოშანსკის რეტორიკასა და ბუალოს მეტაფიზიკაზედ აღზრდილ მაზაკვალის მიერაც-კი აღიარებული, დრამატურგი ეთანახმება ამ აზრს არისტოტელისას, არ ვუჩვენებთ იმიტომ, რომ გვინდა ბ-ნმა გ. წერეთელმა კარგად დასტუქსოს მაზაკვალი ასეთის უვიცობისათვის, ხელში ლესსინგის თხზულებანი მისცეს, სასჯელად „კვალის“ რედაქციის კუთხეში დააჩოქოს და იმასვე მოაძებნინოს ის ფურცელი, სადაც ლესსინგი ამბობს, რომ „შინაარსი დრამისა შესაძლებელობის საზღვარს არ უნდა გადადიოდესო“.

რაც შეეხება იმას, რომ „ეხლა“-ს ნაცვლად „ახლა“ უნდაო, ნაცვლად „გეთაყვა“-სი „გეთაყვანე“-ო, „შეიშვნევს“-ისა—„შეიშნობს“-ო, „შეუძლიან“-ისა—„შეუძლია“-ო, მაზაკვალი პასუხს არას იძლევა, იგი ჩვენ ბ-ნ „ივერიის“ რედაქტორთან გვგზავნის ამის შესატყობად, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ თავისის მეცნიერულის ბაგით ამის შესახებაც ებრძანებინა „მტკნარი“ ჭეშმარიტება და განეფანტა არა-მეცნიერული ბურუსი და ნისლი, რომელიც გარს შემოგვხვევია.

მანოელიძე

...ერო საქმეს გაუწევ სამსახურსაო, ...ა იმ სურვილით ყოფილა გამსჭვა-...ული, რომ ამ საერო საქმეს ზნე-...ბითად და ნივთიერად დაეხმაროს ...მ ზომად მაინც, რა ზომადაც ამას ...ლება ავალებს. ამიტომ მოვალე-...ბად მიგვაჩნია ჩვენის მხრივაც მო-...ვაგონოთ საზოგადოების წევრებს, ...რომ წარსულს სეზონში დასის გაძ-...ლოლას 700 მან. მეტი ვალი დაუ-...ვია საზოგადოების გამგეობისათვის, ...და ამიტომ როგორც მოვალეობა, ...ე საქმის სარგებლობა მოითხოვს, ...რომ ყველა წევრი, ვისაც-კი ჯერ ...შარშანდელისა და წრევანდელის ...წლის გადასახადი არ შეუტანია, —ამ ...გადასახადის შეტანას დაეშუროს და ...ამით ღონე მისცეს გამგეობას რიგი-...ანად და გაუჭირვებლივ გაუძღვეს ...ქართულის თეატრის საქმეს. ამასაც ...დავძენთ, რომ არა მარტო დრამ. ...საზოგ. წევრებისაგან მოითხოვება ეს ...დახმარება, არამედ მთელის ქართვე-...ლის მოაზრე საზოგადოებისაგანაც, ...რადგან ქართული თეატრი საერო ...საქმეა და მისი წარმატება და დამ-...კვიდრება ყოველის ქართველისათვის ...სანატრელი უნდა იყოს.

---

### კორესპონდენცია

---

**ს. ვაქირი** ([illegible] მაზრა), 17 მარტი. წრეუ[illegible] ჩვენ[illegible]ან დალოც-ვილი ზამთარ[illegible] იყო, თორემ ჩვენ მტერს, რაც [illegible] დ[illegible] დაგვადგებო-და შარშან[illegible] [illegible]არალებულებს. აქეთ ეხლა [illegible] ხსენება ალარ-სად არის. [illegible] კაი პირი უჩანს; სწორეთ [illegible] [illegible]ასიამოვნოა ახლა ალაზნის [illegible] დანახვა. ჯეჯილები მწვანე ხავ[illegible] [illegible]ით ბიბინებს. არც ვენახებს უ[illegible] რამე. აი სწორეთ ამის მიზე[illegible] რომ პურის ფასმა ძალიან და[illegible]. სადაც ამ ორის თვის წინად ოთხ-ხუთ მანეთად იყი-დებოდა კოდი პური, (ჩვენში ერთი კოდი ათი ლიტრაა) ეხლა სამ მანე-თად და ზოგან ნაკლებათაც თითონ პურის პატრონები იხვეწებიან. წინად პურის პატრონები არც-კი იმეტებდ-ნენ ამ ფასად (4-5 მან.), ეგონათ, გაზაფხულზედ უფრო დაძვირდებაო, მაგრამ მოტყუებულები დარჩნენ. ღმე-რთმა ინებოს, წელს მაინც კაი მო-სავალი მოგვივიდეს, რათა შარშან-დელი ზარალი წრევანდელმა მოგე-ბამ დაჰფაროს!

აქ ერთი სამინისტრო სასწავლე-ბელია ერთ-კლასიანი, დაარსებული ორის სოფლისაგან—ვაქირ-ანაგისა. სასწავლებლის ხარჯსაც ვაქირ-ანა-გის საზოგადოება იხდის. ამ ორს სოფლში 2000-მდე კომლია მცხოვ-რები და, რასასვირველია, ერთ-კლა-სიანი სასწავლებელი ვერ დააკმაყო-ფილებს ამდენს ხალხს.

კარგი იქნება, რომ ეხლანდელი ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაკეთდეს და ან ერთი ასეთივე, თუნდ სასწავლებელი, ს. ანაგაშიაც დაარსდეს; ამას თვით ვაქირ-ანაგელები სიხარულით მიეგე-ბებიან, თუ ითავა ვინმემ.

ქიზიყელი

---

### საყურადღებო გულანი
### (1577 წ.)

ეს გულანი 1264 გვერდზე არის ნაწერი, დიდი ტანის, მოწითლო სქელს ქაღალდზედ მშვენიერის ხუ-ცურის ხელით. სათავე წითელ მელ-ნით აქვს დაწერილი, შინა წერილი შავით. მთელის წლის დღესასწაული და წმიდანების სამწუხრო და საცის-კრონი სავსებით არის შიგ შეკრები-ლი.

ადამიანს ნათლად უმტკიცებს, თუ რა დიდი მოთმინება იყო საჭირო და უარ-ყოფა თავისა ამ სოფლის ზრუნ-ვისაგან ამისთანა წიგნის თავიდგან-ბოლომდე შეუცდომლად გადაწერი-სათვის.

დაწერილია აფხაზეთის კათალი-კოზის ბრძანებით, როგორც სჩანს შემდეგის მინაწერიდგან: „დაესრუ-ლა თებერვალი სრულიად მისითა განგებითა, ღმერთო მამაო, ძეო და სულო წმიდაო, და „და ყო-ველნო წმიდანო ღვთისანო ადი-დეთ აქა და მასვე დაუსრულებე-ლსა საუკუნესა აფხაზეთისა პატრია-რქი პატრონი ევდემო და მე გლახა-კსა, ბაწყალობელსა, ღარიბს, უღო-ნოსა რუთის (ამ გულანის დამწერი უნდა იყოს) მისით წყალობით მიშ-ველე რაიმე.“

ეს მინაწერი მე შარშან შემთხვე-ვით გადმოვწერე, წელს-კი ვიღაც ბოროტის ხელს 13 თებერვლიდამ 9 მარტამდე 30 ფურცელი ამოუჭრია, და თან გაუყოლებია ზემო მოხსენე-ბული ცნობა, რომელსაც უმეტესს 300 წ. მტრის ხელიც ვერ შეხებია.

ერთად-ერთი-ღა იყო ძველი ხე-ხელთ-ნაწერი და ამასაც ეს უყვეს...

ნეტავი ვის რა დაუშავა ამ უსულ-დგმულო არსებამ?

ეს დიდი ნაშრომი წიგნი თხოუ-ლობს აკინძვა-შეკვრას და ყველას იმას შეჰღაღადებს, ისევ თუ შემინა-ხავთ, მიპატრონებთ წინაპართამებრ კიდევ გაგიწევთ საუკუნეებით სამსა-ხურსაო... ამას ბანს აძლევენ სხვა აქაური საეკკლესიო წიგნებიც.

ყოველი წიგნი ღვთივ-სულიერ სამოძღვრებლადაა, და სამხილებელად, და სასწავლელად სიმართლისა, და საქმნელად საქმისა კეთილისა, რო-გორც მოციქულმა პავლემ მისწერა ტიმოთეს: რათა ყოველივე შვენიე-რად და წესიერად იქმნებოდესო. მაგრამ საცა გაგონება არ არის, იქ ლაპარაკი სიმართლის კარგვააო, ნათ-ქვამია...

კ—ლ—ტე

---

## რუსეთი

---

აი რა ცვლილებანია შემოღებული სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში: 1) თავმჯდომარე და წევრნი საეგზა-მენიო კომისიისანი მიიღებენ შრომის-და გვარს ჯილდოს იმ ფულიდგან, რომელსაც იხდიან მკურნალობის მოწმობის მიღების მსურველნი. რა-ოდენობა ამ ჯილდოსი სამხედრო მინისტრზეა დამოკიდებული. 2) რი-ცხვი მისაღებ სტუდენტებისა უნდა განსაზღვრული იყოს, ასე რომ მთელს აკადემიაში სტუდენტთა რიცხვი არ აღემატებოდეს 750. თუ რომ მისაღებ სტუდენტთა რიცხვი ბევრით აღემა-ტება თავისუფალ ადგილების რიცხვს, მაშინ ყურადღება მიექცევა სწავლის დამთავრების მოწმობებს: მიღებულ იქ-მნებიან მხოლოდ ისინი, ვისაც უფრო კარგი ბალლი ექნება საშუალო რიცხ-ვით ყველა საგნებისა. უპირა-ტესობა მიეცემა იმ სტუდენ-ტებს, რომლებსაც ოქროს ან ვერ-ცხლის მედალით გაუთავებიათ სას-წავლებელი; იმ შემთხვევაში, რო-დესაც ერთნაირი ბალლები ექნებათ სტუდენტებს, უპირატესობა მიეცემა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქში სწავლა-დამთავრებულთ. მეორე და დანარჩენ კურსებზედ სტუდენტები ძველისავე პირობებით მიიღებიან.

—

ნარიშკინის წინადადებით, პეტერ-ბურგის თავად-აზნაურობა შუამდ-გომლობს მთავრობის წინაშე, რომ თითოეულს მაზრაში დაინიშნოს ინ-სპექტორი ნადირობისა. ინსპექტორი იქმნება ამორჩეული თავად-აზნაურ-თა სამაზრო კრების მიერ სამის წლის ვადით; ეს თანამდებობა საპატიოა და ამ თანამდებობაზედ ამორჩეულ-მა უსასყიდლოდ უნდა იმსახუროს და ვერ იკისრებს ამ თანამდებობას, თუ ერობის უფროსია, მაზრის მოსა-მართლე, ან პოლიციის მოხელე. მაზრის ინსპექტორის ხელთ არის, როგორც ამორჩევა, აგრეთვე და-ნიშვნა ნადირობის დარაჯებისა; უნდა ადევნოს თვალ-ყური მთელის მაზრის სახაზინო, საზოგადოებისა, სამოქალაქო და კერძო კაცთა აგა-რაკებს.

—

მთავრობისაგან შემუშავებულია გე-გმა პეტერბურგში უმაღლესის საქა-ლებო სამკურნალოს ინსტიტუტის დასაარსებლად. ეხლა მხოლოდ დამ-ტკიცებას-ღა ელიან ამ ინსტიტუტის და იმ საშუალებათა მოპოებას, რო-მელიც საჭიროა იმის შესანახად.

---

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** 13 მარტს. გუშინ საღამოსათვის აქ გამოგზავნი-ლი იყო სხვა-და-სხვა ქალაქიდგან ცხენოსანთ ჯარები, რომელნიც ქუ-ჩა-ქუჩა დააყენეს, მაგრამ საღამომ მშვიდობიანად გაიარა. დღეს მოასვე-ნეს განსვენებულის კოშუტის მეუღ-ლისა და ქალიშვილის გვამი, რომე-ლთაც თან მოჰყვათ გრაფი გაბრიელ კაროლიი.

**იტალია.** იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთსა და იტალიას სურს სა-ვაჭრო ხელ-შეკრულობა დასდონ, იტალიაში დიდად კეთილად იმოქმე-და. იტალიელნი დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთს არ უნდა ისარგებლოს იტალიის გაჭირვებულის მდგომარე-ობითაო, კვლავ ასტეხა ლაპარაკი საფრანგეთ-იტალიის დაახლოვების შესახებ. იტალიის გაზეთები ამბობენ, იმედია, რომ ეს ხელ-შეკრულობა პირველი ნაბიჯი იქმნება ამ ორის სახელმწიფოს დაახლოვებისაო. „Perseveranza“ დარწმუნებით ამბობს კიდეც, რომ მოლაპარაკება დაიწყო სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ. საქმეს ის აძნელებს და აჭირვებს, თუ ამ მხრივ პირველს ნაბიჯს ვინ გადასდგამსო. იმედი აქვთ დიპლომა-ტების ხელოვნებისა, ისინი მოახერხე-ბენ როგორმე და გზას აუქცე-ვენ ამ დაბრკოლებასაო. რომში ხმა დადის, რომ რესმანის მაგიერად პა-რიზში იტალიის ელჩად ინიშნება აწინდელი გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი ბლანი, რომელიც დიდი თაყ-ვანის-მცემელია ფრანგებისა და შთა-მომავლობით სავოიელია.

---

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

რომელი ერი უკეთ იკვებება? ამის შე-სახებ „Pall Mall Gazette“-ში შემ-დეგი ცნობაა დაბეჭდილი: ინგლისელი ყოველ წლივ საჭმელზედ 240 ფრანკს ხარჯავს, ფრანგი—235 ფრანკს, გერ-მანელი—210, ისპანელი—165, იტა-ლიელი—120 და რუსი—115, მაგრამ დიდი ხარჯი იმას არ ამტკიცებს, რომ თვით საჭმელიც უფრო ნოყიერი და უგე-თესი ჭქონდეთ. აქედგან მხოლოდ სამ-დოს სიძვირე სჩანს. საჭიროა ვიცოდეთ თვით საჭმლის რაოდენობა. პური რუ-სეთში ერთს სულზედ იხარჯება 635 გირვანქა ყოველ წლივ; გერმანიაში—560 გირ., საფრანგეთში—540 გირ., ისპანიაში—480 გირ., იტალი-აში—400 გირ. და ინგლისში—380; ხორცს ინგლისელი წლი-წადში 109 გირვანქას ჭხმარობს, ფრანგი—77 გირვანქას, ნემეცი—64 გირვ., რუსი—51 გირვ., იტალიელი—26 გირვანქას. „მითხარ რასა სჭამ და მე გეტყვი ვინცა ხარ“. ამ თქმულებას ზემოდ მოყვანილი ცნობები ნათლად ამ-ტკიცებს: ინგლისელი ბევრს ხორცსა სჭამს და იტალიელი-კი იმედით იკვებე-ბა. აი ერთი უცნაური ამბავიც: ინგლი-სელი ფრანგსა და გერმანელზედ ერთი ხუთად მეტს შაქარსა ჭხმარობს, რუს-ზედ—ერთი ათად მეტს.

---

### ბიბლიოგრაფია

Систематическое руководство по ручному труду. Сост. К. Цируль и Касаткинъ. С.-Петербургъ. Цѣна 3 руб.

სულ 10 წ., რაც რუსეთში ხელ-საქმე შემოიღეს, სასწავლებლში და, ასწავლიან. ეხლა ამ საგანს ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს. როგორც ნათქ-ვამია დასახელებულ სახელმძღვანე-ლოს წინასიტყვაობაში, ეს ხელ-საქმე დაწესებულია ოთხს სამასწავლებლო ინსტიტუტში, თექვსმეტს სამასწავლე-ბლო სემინარიაში, ექვს გიმნაზიაში, ცხრამეტს კადეტის კორპუსში და 200 მდაბალ სასწავლებლში. საგანი ამ სწავლისა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეთ განუვითაროს თვა-ლის სინათლე დ სისწორე დ, გარდა ამი-სა, განუღვიძოს თანაგრძნობა დ სიყვა-რული ფიზიკურის შრომის მიმართ. ასეთის თვალით უყურებენ ამ საგანს ბ-ნი ცირული და კასატკინი. იმათ მიერ შედგენილი სისტემატიური სა-ხელმძღვანელო ამ ახალ სწავლისა შეიცავს 55 ამოცანას, რომლებიც რიგზედ მისდევს ერთმანეთს და ად-ვილიდგან ძნელზედ გადადის. „სა-ხელმძღვანელო“ დაწვრილებით უხს-ნის არამც თუ მარტო იმას, როგორ უნდა გაკეთდეს რომელიმე ნივთი, არამედ იმასაც-კი, რა იარღით და როგორ უნდა შემზადდეს ყოველივე სახელოსნო სამუშაო. წიგნს ჩართუ-ლი აქვს სურათებიც, რომლის საშუ-ალებითაც ამ „სახელმძღვანელოთი“ უმასწავლებლოდაც შეიძლება სწა-ვლა.

---

### გასართობი

—

რომელლასაც საზოგადოებაში ჩამოვარდა ლაპარაკი კაპიტანის კუკის დედამიწის გარშე-მო მოგზაურობის შესახებ. ერთი დიდის ოჯა-ხის ქალი, რომელიც იმ დროს იქ იყო, ძა-ლიან სცდილობდა ჩარეულიყო ლაპარაკში და გამოჩენილს პროფესორს ენგელს ჰკითხა:

—დამავალეთ და მიბრძანეთ, პირველს თუ მეორე მოგზაურობაში მოკვდა კაპიტა-ნი კუკი?

—ვგონებ, რომ პირველს მოგზაურობა-ში, მაგრამ კუკმა მაინც ამ გარემოებას ყუ-რადღება არ მიაქცია და მაშინვე შეუდგა მეორე მოგზაურობასაო, უპასუხა ენგელმა.

**

რომის ჯარის-კაცებმა, როცა ნადავლევს იყოფდნენ, თავიანთს წინამძღოლს კატონს მიართვეს ძლვნად გასაოცარის სისწრაფის ცხენი, რომელიც სამხედრო დავლად ერგოთ.

—ეს ცხენი უკანვე წაიყვანეთო, უთხრა სარდალმა: აგეთი საჩუქარი მხოლოდ მხდა-ლის კაცის შესაფერია.

**

იმპერატორი ტიბერი ძალიან იშვიათად სცვლიდა მოხელეებს და ამბობდა ხოლმე:

—როცა ბუზები საკმაოდ გაძღებიან, ისე ძლიერ აღარ იკბინებიან, როგორც მშიერ-ნიო.

---

### გამოსადეგი ცნობა

—

ნიახური (Apium graveolens). ბერძნები ნიახურის ძირის ნახარშს ჭხმა-რობენ ციებისათვის და ამ მცენარეს იღ-ბლის მომტანს ეძახიან, რის გამოც თა-ვიანთ ოთახებში ჩამოჰკიდებენ ხოლმე, იქნება იმიტომაც, რომ უწინდელს დრო-ში ბერძნები თავიანთ ძლევა-მოსილ გმი-რებს ამ მცენარის გვირგვინით შეუმკო-ბდნენ ხოლმე თავს და საფლავს.

დიუჟარდენ-ბომეს მოწმობით, ნიახუ-რის წვენის 2—4 მისხლის დალევა ძა-ლიან კარგი საშუალებაა ცინგით ავად-მყოფისათვის. აგრეთვე კარგია, როცა ყელში იარები აქვს ადამიანს და იმას გამოივლებს. ნიახურის ფოთლების ნა-ხარში (7—9 მისხალი ერთ ტოლჩა წყალზედ) რძეში არეული უზმოზედ და-სალევადაც ძალიან მარგებელია, ვისაც ხმა აქვს წასული ან ფილტვების კატა-რით არის ავადმყოფი.

აგრეთვე თუ დაშავებულია ვინმე, ან დაჭრილია, უნდა ნიახურის ფოთლე-ბი მოხარშოთ და თბილი დაადოთ ნატ-კენ ადგილს.

---

## დეპეშა

18 მარტი

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნე-ბიან: სავაჭრო დეპარტამენტის ვი-ცე-დირექტორი ტიმირიაზევი ფინან-სთა მინისტრის საბჭოს წევრად და ბერლინის საკომერციო აგენტად; ფინანსთა მინისტრის იურისკონსულ-ტი ბილიუსტინი—სადამოჟნო დეპა-რტამენტის დირექტორად.

გამოცხადებულ იქმნა კანონდებუ-ლება იმ წესის შესახებ, თუ რა წე-სით უნდა იქმნენ დამტკიცებულნი საერობო და საქალაქო საზოგადოე-ბათა მიერ ამორჩეულნი სამოსწავლო საბჭოთა წევრნი.

სადამოჟნო გარდასახადის შემკრებ დეპარტამენტის დირექტორი ტუხოლ-კა სენატორად დაინიშნა.

**კოპენჰაგენი.** რუსეთისა და და-ნიის მთავრობათა შორის უკვე დაი-წყო მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დაიდოს ახალი სავაჭრო ხელ-შეკრულობა, აწინდელის გამოურ-კვეველის ხელ-შეკრულობის ნაცვ-ლად.

## პეტერბურგის ბირჟა, 18 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,44 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148\frac{1}{2}$ | $159\frac{1}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგე-ბი ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $243\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221\frac{1}{4}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზ-ნაურობის ბანკის მო-მგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $192\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | $101\frac{5}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | $98\frac{1}{2}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $101\frac{5}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | $98\frac{7}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფი-ლისის ქალაქის საკრე-დიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. ღამ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო-სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათო-ბით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-ხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

—

## განცხადებანი


### თესლეულობით ვაჭრობა

გ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მიიღე

### ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბაღჩეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—12)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახი-რურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნე-ულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასკევიჩი,**—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედა-თა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბა-ვშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულე-ბანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7\frac{1}{2}$ საა-თამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშა-ბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნას ლოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-რი მედიცინისა ნავასარდიანი.**




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
И
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
И
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и Ко
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

### საპონი

პროვიზორი

### ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდი-დოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვ-დეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავ-რობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—8)

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

### ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაირო-ვისა და კ. ალიხანოვის ქ. ტფილისში

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბ-ტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა მოდუღებული** სალებავ წამლებ-თვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღ-ზიებში: საა[...]იაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებ-ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, ვარანცოვის ძეგლთან, კარვასლთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორ[...] ლიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, კაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლო-ზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუ[...] სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, [...]რეულთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთ[...] **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** მიხაილო-ვის ქუჩაზედ, კარლოვის სახლში ვორონცოვის ძეგლთან, თათრის მოედ[...] ზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუდანოვის სახლ[...] ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნ[...] თოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, სა[...] თარი სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე ჩ[...] **ჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად.

(10—6)

კერძო ექიმი

### პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნ[...] ულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაგის ნასკვს); არჩე[...] აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებებს და სიფილისს, ავა[...] მყოფებს მიიღებს გარედგან მოსიარულეთა და თავის სახლში დაწვენითაც ყოვე[...] დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდ[...]

ადრესი: საპიორის ქუჩა, სახლი ბაბანასოვისა № 41.

(10—1028—3)



ახლად მოგონილი მაშინა „ლავა“ (დიდ[...] ბა), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მო[...] ყავთ მოძრაობაში.

### ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაც[...]ლებით სჯო[...] ბია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

### სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

Maison HERMANN—LACHAPELLE, J. BOULET & C-ie,
Succ-rs 31 et 33, Rue Boinod, პარიჟი

ოთხი ოქროს მედალი, მსოფლიო გამოფენა 1889 წ. ჯვარი საპა-ტიო ლეგიონისა 1888 წ.

### განუწყვეტლად მომქმედი მანქანა

სიფონები
დიდის და პატა-რა მილით



ყველა ნაირ შუშხუნა სასმელების გასაკეთებლად სელტერისა და სოდის წყა-ლისა, შუშხუნა ღვინისა. შიგნიდგან ვერცხლით დაფერილი სიფონები ყველა ზომისა და ფერისა.

ფასი სიფონებისა მეტად დაკლებულია. Manuel du Fabricant de Boissons Gazeuses ფასი 5 ფრ. დაწვრილებითი სია უფასოდ იგზავნება.